

კურიკულუმი

მედიცინის სკოლა (ფაკულტეტი)

პროგრამის სახელწოდება

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამა

საფეხური

ერთსაფეხურიანი (მაგისტრთან გათანაბრებული)- VII დონე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

დიპლომირებული მედიკოსი

პროგრამის ხელმძღვანელი

ილია მესხი - პროფესორი, მედიცინის დოქტორი
კარლო მათითაიშვილი - ასისტენტი

პროგრამის მოცულობა და მახასიათებლები

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის (ქაუ) დიპლომირებული მედიკოსის 6 წლიანი (360 კრედიტის) ერთსაფეხურიანი პროგრამა შემუშავებულია 21 საუკუნის გამოწვევის - კომპეტენტური და მაღალკვალიფიციური ექიმების მომზადების, შესაბამისად.

პროგრამა მოიცავს 4 ფაზას:

ფაზა I - „უჯრედიდან სხეულამდე“

წელი 1 და 2 - შესავალი - ადამიანის სხეულის ძირითადი სისტემები, ბიომედიცინა, სოციალური და ქცევითი მედიცინა, მედიცინის ეთიკა; სწავლება მიმდინარეობს სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით მათ შორის პრობლემაზე დაფუძნებული სწავლით. სტუდენტები გამოიმუშავენ მნიშვნელოვან პრაქტიკულ უნარებს (პაციენტებთან საუბარი) სამედიცინო გარემოში.

შესავალი ორგანიზმის ძირითად სისტემებში, ბიოსამედიცინო მეცნიერებები, სოციალური და ქცევითი მედიცინა, სამედიცინო ეთიკა. ამ და სხვა დისციპლინების სწავლება ხორციელდება სხვადასხვა სწავლების მეთოდებით - მათ შორის პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდით. სტუდენტები ითვისებენ პრაქტიკისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს (ანამნეზის შეკრება) კლინიკის გარემოში.

ფაზა II - „დაავადებათა განვითარება“

წელი 3 - ძირითადი აქცენტები კეთდება პათოლოგიასა და დაავადებათა პათოფიზიოლოგიასზე. სტუდენტები ეუფლებიან ფიზიკურ დიაგნოსტიკას. ეცნობიან ზოგად ფარმაკოლოგიასა და ზოგად ქირურგიას. ამ წელს სტუდენტები სწავლობენ დიაგნოსტიკურ აზროვნებას შემთხვევების განხილვის დახმარებით, რომელიც მედიცინის სხვადასხვა სფეროს ეხება, ხდება მათი ცოდნის ინტეგრირება და მომზადება შემდგომი წლების საგნების სწავლისთვის.

ფაზა III - „კლინიკური მედიცინა“

წელი 4 და 5 - სტუდენტები სწავლობენ ძირითად სამედიცინო საგნებს - შინაგანი მედიცინა (სისტემაზე დაფუძნებული), ქირურგია, მეანობა და გინეკოლოგია, პედიატრია, ფსიქიატრია, რადიოლოგია, ოტორინოლარინგოლოგია. პარალელურად, მუდმივად გადიან წვრთნას კლინიკური უნარების ლაბორატორიასა და სამედიცინო დაწესებულებებში.

ფაზა IV - „პრაქტიკისთვის მზადება“

წელი 6 (სწავლის დამთავრება) - დამამთავრებელ წელს სტუდენტები ეუფლებიან საჭირო კომპეტენციებს შინაგან მედიცინაში, ქირურგიაში, მეანობა/გინეკოლოგიაში, ინფექციურ დაავადებებში, საოჯახო მედიცინაში, ოფთალმოლოგიაში, გერიატრიაში, პედიატრიაში და გადაუდებელ სამედიცინო დახმარებაში. ინტეგრირებული და სპირალურისასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად სტუდენტები ხელმეორედ გადიან თეორიულ საგნებს (კლინიკური ფარმაკოლოგია და სამედიცინო გენეტიკა).

ქაუ-ს დიპლომირებული მედიკოსის სასწავლო პროგრამის მთავარი მახასიათებლები შემდეგია:

- ნაწილობრივ ინტეგრირებული სასწავლო გეგმა გულისხმობს, როგორც ვერტიკალურ, ასევე ჰორიზონტალურ ინტეგრაციას;
- სწავლის წლებთან ერთად არჩევითი საგნების რაოდენობა იზრდება;
- ორგანიზმის ძირითად სისტემებზე დაფუძნებული მიდგომა - ინტეგრირებული კურსების გამოყენება სხეულის მნიშვნელოვან სისტემებთან მიმართებაში;
- კურსები მოიცავს პრობლემასა და შემთხვევაზე დაფუძნებულ სწავლებას;
- სპირალური სასწავლო გეგმის მოდელი შესაძლებელს ხდის მნიშვნელოვანი საკითხების სიღრმისეულ მიმოხილვას;
- კლინიკის პირობებში მუშაობის გამოცდილება ადრეული პერიოდიდანვე და კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავება 6 წლის მანძილზე;
- სწავლის ექვსივე წელს სამეცნიერო კვლევის უნარების ათვისება;
- სოციალური და საზოგადოებრივი ჯანდაცვა სამედიცინო ეთიკის ჩათვლით, ქცევითი მედიცინა, ბიოსტატისტიკა, ეპიდემიოლოგია, მტკიცებულებაზე დაფუძნებული მედიცინა, კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, ჯანდაცვის მენეჯმენტი;
- სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეშვეობით ძირითადი აქცენტის გადატანა დამოუკიდებელ სწავლაზე
- შეფასების რელევანტური მეთოდები დაფუძნებული მილერის პირამიდის მოდელზე, რომელიც მოიცავს ტრადიციულ გამოცდებს (ზეპირი/წერილობითი), კითხვებს/ტესტებს მრავალი არჩევითი პასუხით, OSCE(ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა) და პორტფოლიოს.
- სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) მიერ დიპლომამდელ საფეხურზე დაწესებულ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტმა კვალიფიკაციის მისაღებად უნდა დააგროვოს 360 კრედიტი.

სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

სწავლების ენა

ინგლისური

პროგრამის მიზანი

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის მიზანს წარმოადგენს მოამზადოს კარგად გათვითცნობიერებული, კონკურენტუნარიანი ექიმები, რომლებიც სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოწოდებულები იქნებიან მთელი სიცოცხლის მანძილზე ისწავლონ.

პროგრამაზე დაშვების წინა პირობა

- აპლიკანტებს მიღებული უნდა ჰქონდეთ სრული ზოგადი განათლება;
- საქართველოს მოქალაქეები ვალდებულები არიან ჩააბარონ ერთიანი ეროვნული გამოცდები;
- სხვა ქვეყნის მოქალაქეებმა უნდა წარმოადგინონ შესაბამისი დოკუმენტები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში და მათი თანხმობის შემდგომ ჩაირიცხონ დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაზე;
- პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა ჩააბაროს უცხო ენის (ინგლისური) B2 (CEF) დონეზე ცოდნის დამადასტურებელი ტესტი;
- პირი, რომელსაც აქვს შესაბამის დონეზე ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი ან განათლება მიღებული აქვს უცხო ენაზე (ინგლისური) ტესტირებისგან თავისუფლდება.

სავარაუდო სტუდენტთა რაოდენობა

80

დასაქმების სფერო

დიპლომირებული მედიკოსის პროფესიული საქმიანობის ძირითადი ადგილები და მისი თანამდებობრივი სტატუსი განისაზღვრება საქართველოს და/ან შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით.

სწავლის შედეგები/კომპეტენციები

ზოგადი კომპეტენციები :

1. ანალიზისა და სინთეზის უნარი

რთული, არასრული და ურთიერთ-საწინააღმდეგო მონაცემების კრიტიკულად შეფასება; მონაცემების დამოუკიდებლად გაანალიზება, ანალიზის შედეგების წარდგენა გასაგები მანერითა და მათი შემდგომი გამოყენება; ახალი ინფორმაციისადმი კრიტიკული მიდგომა; განსხვავებული ინფორმაციის ანალიზი, შეჯამება, ინტეგრირება და დასკვნის გამოტანა; შედეგების ანალიზისას მტკიცებულებებით საუბარი და კონტრ-არგუმენტის წარდგენა.

2. ინფორმაციის მართვა

სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებიდან ინფორმაციის შეგროვება; დიდი რაოდენობით ინფორმაციის დამუშავება და კრიტიკული ანალიზი; შეგროვებული ინფორმაციის გამოყენება პროფესიულ საქმიანობაში.

3. პრობლემის გადაწყვეტა/ გადაწყვეტილების მიღება

კომპლექსური პრობლემების დამოუკიდებლად განსაზღვრა და მათი გადაჭრის გზების ფორმულირება; მოსალოდნელი შედეგების ანალიზის უზრუნველყოფა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება; სასწავლო დარგში დამატებითი წყაროების ცოდნა და საჭიროების შემთხვევაში ეფექტიანი გამოყენება.

4. **კომუნიკაციის უნარი, უცხო ენის გამოყენების ჩათვლით**
დაკვირვება, მოსმენა და კითხვების დასმა, ასევე არავერბალური კომუნიკაცია, შეხვედრებში მონაწილეობა და საკუთარი პოზიციის დაფიქსირება, როგორც სიტყვიერად ისე წერილობით; პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში მოლაპარაკებების წარმოება და კონფლიქტის გადაჭრაში მონაწილეობის მიღება.
5. **მუდმივი სწავლის უნარი**
განათლებისა და ინფორმაციული წყაროების სრული სპექტრის გამოყენება; საკუთარი სწავლის პროცესის მართვა; მუდმივად განახლებადი ინფორმაციის მნიშვნელობის გაცნობიერება; საკუთარი ცოდნისა და უნარების ობიექტურად შეფასება.
6. **ახალ გარემოსთან ადაპტირება**
გუნდში პრაქტიკული მუშაობის შესაძლებლობა, პროფესიული სუბორდინაციისა და ადაპტაციის უნარი და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება.
7. **დამოუკიდებლად მუშაობის უნარი**
დროის სწორად გადანაწილება, პრიორიტეტების განსაზღვრა, ჩაბარების ვადის გათვალისწინება და შეთანხმებულ საკითხებზე მუშაობა; მოსალოდნელ საქმიანობასთან დაკავშირებული რესურსების ეფექტურად დაგეგმვა და მათ შესრულებაზე პასუხისმგებლობის აღება.
8. **ღირებულებები**
სამედიცინო სფეროში ეთიკური და სამართლებრივი საკითხების ცოდნა, პაციენტთა უფლებების დაცვა; პროფესიული მოლაპარაკებების წარმოება და კონფლიქტის მოგვარებაში მონაწილეობა ნებისმიერ პირთან, განურჩევლად მისი სოციალური, კულტურული, რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილებისა; კოლეგებთან და პაციენტებთან ურთიერთობა სამართლიანობის, სოციალური და დემოკრატიული ღირებულებების გათვალისწინებით.

დარგობრივი კომპეტენციები

1. დარგის ცოდნა:

ძირითადი, კლინიკური, ქცევითი და სოციალური მეცნიერებების ცოდნა; წამლებისა და მათი დანიშვნის წესის ცოდნა; სამედიცინო პრაქტიკაში არსებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ცოდნა; ჯანდაცვის სისტემაში ექიმის როლის ცოდნა.

2. პაციენტთან კონსულტაციის გაწევის უნარი:

- სამედიცინო ისტორიის გაცნობა;
- ფიზიკური გამოკვლევის ჩატარება;
- კლინიკური დასკვნებისა და გადაწყვეტილებების მიღება;
- განმარტებისა და რეკომენდაციების გაცემა;
- დამატებითი განმარტებების გაკეთება და მხარდაჭერის უზრუნველყოფა;
- პაციენტის მენტალური მდგომარეობის შეფასება.

3. კლინიკური გამოვლინების შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, განსხვავებული დიაგნოზის დასმა და მენეჯმენტის გეგმის წარმართვის უნარი:

-
- კლინიკური გამოვლინებების ზუსტი ცნობა და შეფასება;
 - შესაბამისი კვლევების ჩატარების დავალება და კვლევის შედეგების განმარტება;
 - დიფერენციული დიაგნოზის დასმა, დაავადების მართვის გეგმის შეთანხმება პაციენტებთან და დასაქმებულებთან;
 - მომავლად პაციენტებსა და მათ ოჯახებზე ზრუნვა;
 - ქრონიკული დაავადებების მართვა.

4. სასწრაფო სამედიცინო დახმარების მყისიერი აღმოჩენა, პირველადი დახმარებისა და რეანიმაციის ჩათვლით:

- ზუსტი სამედიცინო დახმარების საჭიროების ცნობა და შეფასება;
- სწორი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა;
- პირველადი დახმარების აღმოჩენა;
- არსებული რეკომენდაციების მიხედვით სიცოცხლისთვის საჭირო დახმარებისა და სარეანიმაციო პროცედურების ჩატარება.
- არსებული რეკომენდაციების მიხედვით სიცოცხლის შემნარჩუნებელი აუცილებელი დახმარების აღმოჩენა.

5. წამლის დანიშვნის პრინციპების ცოდნა:

- წამლის დანიშვნა მკაფიოდ და მართებულად;
- კლინიკურ დონეზე წამლებისა და სხვა სახის მკურნალობის შესაბამისობის თანხვედრა;
- წამლებისა და მკურნალობის სხვა საშუალებების შესაბამისობის გადახედვა და პოტენციური სარგებლისა და რისკების შეფასება;
- ტკივილისა და დისკომფორტის მკურნალობა.

6. პრაქტიკული პროცედურების ჩატარება:

- არტერიული წნევის გაზომვა;
- ვენეპუნქცია;
- ვენების კათეტერიზაცია;
- სისხლის ინტრავენური გადასხმა და არსებული მეთოდის გამოყენება;
- კანქვეშა და კუნთში ინექცია;
- ჟანგბადის მიწოდება;
- პაციენტთა გადაადგილება/მოძილობა;
- გაკერვა;
- სისხლის გადასხმა;
- შარდის ბუშტის კათეტერიზაცია;
- შარდის გამოკვლევა;
- ელექტროკარდიოგრაფია;
- ძირითადი სასუნთქი ფუნქციების განსაზღვრა.

(ყველა ზემოდ ჩამოთვლილი მანიპულაცია ხორციელდება სიმულატორზე.)

7. მედიცინაში ეფექტური კომუნიკაცია:

- პაციენტებთან კომუნიკაცია;
-

-
- კოლეგებთან კომუნიკაცია;
 - ცუდი ამბის შეტყობინება;
 - ახლობლებთან კომუნიკაცია;
 - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან კომუნიკაცია;
 - კომუნიკაცია ინფორმირებული თანხმობის მისაღებად;
 - წერილობითი კომუნიკაცია (სამედიცინო ჩანაწერების ჩათვლით);
 - აგრესიის მოგერიება კომუნიკაციით;
 - ტელეფონით კომუნიკაცია;
 - ისეთ პირებთან კომუნიკაცია, რომლებიც მთარგმნელს საჭიროებენ.

8. ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენების უნარი სამედიცინო პრაქტიკაში:

- კონფიდენციალობის შენარჩუნება;
- ეთიკური პრინციპებისა და ანალიზის გამოყენება კლინიკური ზედამხედველობისას (მოვლისას);
- ინფორმაციის მიღება და ჩაწერა ინფორმირებული თანხმობით;
- გარდაცვალების დამოწმება;
- გაკვეთის თხოვნა;
- ეროვნული კანონმდებლობის მორგება კლინიკური ზედამხედველობისას.

9. პაციენტის ავადმყოფობის ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასება:

- პაციენტზე მოქმედი ფსიქოლოგიური ფაქტორებისა და ავადმყოფობის გავლენის შეფასება;
- სოციალური ფაქტორებისა და ავადმყოფობის გავლენის შეფასება;
- სტრესის ნიშნების აღმოჩენა ავადმყოფობასთან მიმართებით;
- ალკოჰოლსა და ნივთიერებაზე დამოკიდებულების გამოვლენა.

10. ფაქტებზე დაფუძნებული სამედიცინო პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენების უნარი:

- მტკიცებულების გამოყენება პრაქტიკაში;
- შესაბამისი ლიტერატურის განსაზღვრა და მოძიება;
- გამოცემული სამედიცინო ლიტერატურის კრიტიკულად შეფასება.

11. ინფორმაციისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენება სამედიცინო სფეროში:

- სწორი და სრული კლინიკური ჩანაწერების წარმოება;
- კომპიუტერების გამოყენება;
- ინფორმაციის წყაროებზე წვდომა;
- ინფორმაციის შენახვა და მოძიება.

12. სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენების უნარი სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში:

- კვლევის მეთოდოლოგიის ცოდნა;
- კვლევის დიზაინის, დეტალური დაგეგმვის, შედეგების განმარტებისა და

-
- გადაწყვეტილებების მიღების უნარი.
 - ბიომედიცინაში არსებული მიღწევების პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
 - სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით გაკეთებული კრიტიკული ანალიზის საფუძველზე მიმოხილვის დაწერა;
 - სამეცნიერო კვლევის ჩატარებისთვის საჭირო ეთიკური პრინციპების ცოდნა.

13. ჯანსაღი ცხოვრების წახალისება, მოსახლეობის ჩართვა ჯანდაცვის საკითხებში და ეფექტური მუშაობა ჯანდაცვის სექტორში:

- პაციენტებზე ზრუნვა-ზიანის მიყენების რისკის მინიმალიზაციის საფუძველზე;
- საჭირო ზომების მიღება ინფექციის გავრცელების თავიდან ასარიდებლად;
- საკუთარი ჯანმრთელობის საჭიროებების გაგება და იმის გათვალისწინება, რომ პროფესიული პასუხისმგებლობის აღებაში ხელს არ შეუშლის;
- პროფესიული რეგულაციისა და სერტიფიცირების შესაბამისობა პრაქტიკასთან;
- პროფესიული შეფასების მიღება და უზრუნველყოფა;
- გააზრებული კარიერული არჩევანის გაკეთება;
- ჯანსაღი ცხოვრების წესის წახალისება, როგორც ინდივიდუალურ ისე საზოგადოებრივ დონეზე.

სწავლებისა და სწავლის მეთოდოლოგია

ინტერაქტიული ლექციები, პრაქტიკული მეცადინეობები, მცირე ჯგუფებში სწავლება, კონსულტაციები, პრობლემაზე და კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება, როლური თამაშები, სიმულაციებზე დაფუძნებული სწავლება, პრეზენტაციები, კვლევით პროექტებში მონაწილეობა, ღამის მორიგეობები, ჯგუფური სამუშაო.

შეფასების სისტემა

სტუდენტის მიერ შესაბამის სასწავლო კურსში კრედიტების მიღება/დაგროვება შესაძლებელია მხოლოდ სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სამუშაოს წარმატებით დასრულებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა.

სტუდენტთა შეფასება განისაზღვრება შემდეგი შეფასების სისტემისა და რაოდენობრივი მაჩვენებლის მიხედვით:

დადებითი შეფასებები

- (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91 და მეტი;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

უარყოფითი შეფასებები

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა;
 - (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები.
-

(FX) ვერ ჩააბარა – უარყოფითი შეფასების მქონე სტუდენტს უფლება აქვს დამოუკიდებელი მუშაობის შემდეგ კიდევ ერთხელ გავიდეს დამატებით დასკვნით გამოცდაზე;

(F) ჩაიჭრა – უარყოფითი შეფასების მქონე სტუდენტი ვალდებულია ახლიდან გაიაროს სასწავლო კურსი.

სასწავლო კურსში სტუდენტის შეფასება წარმოებს მთელი სასწავლო სემესტრის განმავლობაში. შესაბამისად, სტუდენტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამს.

დასკვნითი გამოცდის შეფასების ქულაა 40, დანარჩენი 60 ქულა ნაწილდება შუალედური შეფასებების მიხედვით.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელიც სემესტრის განმავლობაში შუალედური შეფასებებით დააგროვებს მინიმუმ 25 ქულას.

სტუდენტი, რომელსაც დაგროვილი არ ექნება სავალდებულო მინიმალური ქულა (25), დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება. დასკვნითი გამოცდის მინიმალური სავალდებულო ქულაა 16.

სტუდენტის საბოლოო რეიტინგის დასადგენად და მათ წასახალისებლად სასწავლო პროცესის დასრულებისას გამოითვლება კუმულატიური ქულა (კუმულატიური ქულის გამოთვლა ხორციელდება ყოველი სემესტრის ბოლოსაც).

კუმულატიური ქულის გამოთვლა შემდეგნაირად ხორციელდება: ყოველ სასწავლო კურსში სტუდენტის მიერ მიღებული ქულის რაოდენობრივი მაჩვენებელი მრავლდება ამ სასწავლო კურსისათვის განკუთვნილი კრედიტის რაოდენობაზე და შემდეგ ამ რიცხვების საერთო ჯამი იყოფა სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების რაოდენობაზე.

პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი რესურსები

მატერიალური რესურსი:

- კანონმდებლობით გათვალისწინებული ფართი (სასწავლო და დამხმარე);
- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები, ადმინისტრაციის მუშაობისათვის განკუთვნილი ფართი;
- ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემა;
- სველი წერტილები;
- ბუნებრივი განათება;
- გათბობის საშუალებები;
- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- ევაკუაციის გეგმა;
- სამედიცინო დახმარების მექანიზმები (სამედიცინო კაბინეტი);
- წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები (უნივერსიტეტის დაცვა);
- კომპიუტერთა სათანადო რაოდენობა და ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა;
- საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სახელმძღვანელოებითა და თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა.

ადამიანური რესურსი:

- აკადემიური პერსონალი შერჩეული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით;
- მკვლევარებად და მასწავლებლებად უნივერსიტეტში მოწვეულნი არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პრაქტიკოსი მუშაკები და სამეცნიერო ხარისხის მქონე პირები.